ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 47
30/10/2015

47-08-4-201510301728

,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დ.ბ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსის" მე-7 მუხლის შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ცვლილება შევიდეს ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/08/2015 სარეგისტრაციო კოდი 200130000.35.114.016271)

1.დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით სასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთებია ლარებში ერთ ჰექტარზე

	მიწის კატეგორიები	**გადასახადის განაკვეთები ლარი/ჰა**
1	სახნავი (მათ შორის მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა საბაღე, საბოსტნე)	60
2	საკარმიდამო	60
3	სათიბი (მათ შორის ბუნებრივი და გაკულტურებული)	20

4	საძოვარი (მათ შორის ბუნებრივი და გაკულტურებული)	16
5	ტყის მიწები(რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით)	
ა)	სათიბები	20
ბ)	საძოვრები	16
გ)	სახნავი	60

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა